

**მცხეთის მუნიციპალიტეტის 2014 წლის მოწვევის საკრებულოს სამანდატო,  
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2016 წლის 19 ოქტომბრის  
სხდომის**

**ოქმი №18**

სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი ბაინდუროვი.

**კომისიამ განიხილა შემდეგი საკითხები:**

მოისმინეს:

1. საკითხი: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

2016 წლის 18 ოქტომბერს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრისა და საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრის იოსებ კავსაძის გარდაცვალების შესახებ. ვინაიდან, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-3 და მე-4 ნაწილებისა და „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე - საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან, აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილება უნდა განხორციელდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში და კომისიის წევრობიდან გაყვანილ უნდა იქნას იოსებ კავსაძე.

**კომისიის გადაწყვეტილება**

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ მომზადდეს კომისიის თავმჯდომარის მიერ მოხსენებითი ბარათი (მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულების ცვლილების პროექტთან ერთად). საკრებულოს თავმჯდომარის სახელზე, ზემოთ მითითებული საკითხის საკრებულოს დღის წესრიგში შეტანისა და განხილვის მიზნით.

მოისმინეს:

2. საკითხი: „ფრაქცია „პატრიოტი“-ს დაშლის შესახებ“ - საკითხის ცნობად მიღების თაობაზე.

კომისიის სახელზე წარმოდგენილია მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატისა და ფრაქცია „პატრიოტი“-ს თავმჯდომარის გალინა ახსაბაძის 2016 წლის 19 ოქტომბრის №35/14 განცხადება ფრაქცია „პატრიოტი“-ს დაშლის თაობაზე. დეპუტატის განცხადებით, 2016 წლის 18 ოქტომბერს გარდაიცვალა მცხეთის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატი და ფრაქცია „პატრიოტი“-ს წევრი იოსებ კავსამე. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის და მე-3 და მე-4 ნაწილების საფუძველზე საკრებულოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე უწყდება შესაბამისი ფაქტის დადგომის მომდევნო დღიდან. ვინაიდან ფრაქცია „პატრიოტი“ გაერთიანებული იყო საკრებულოს სამი დეპუტატი და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად „ფრაქციის წევრთა რაოდენობა არ უნდა იყოს 3-ზე ნაკლები“, ფრაქცია „პატრიოტი“ 2016 წლის 19 ოქტომბრიდან დაშლილად ითვლება.

### კომისიის გადაწყვეტილება:

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ იმსჯელა ზემოაღნიშნულ საკითხზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 30-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი“-ს 35-ე მუხლის საფუძველზე, საკითხი - გატანილ იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ცნობად მიღების მიზნით

### კომისიის თავმჯდომარე

გიორგი ბაინდუროვი



### კომისიის წევრები:

თეიმურაზ მირესაშვილი



თინა ხუბაშვილი

მიხეილ სტეფნიაშვილი



ნინო ლაზვიაშვილი



ჯონდო მუზაშვილი



გურამ ანსიანი



მირიან პავლიაშვილი



გიორგი სარდლიშვილი



თამაზ ფოლოდაშვილი



19.10.2016წ